<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ანაპის 414 დივიზიის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
I კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
V კვარტალი
V კვარტალი
ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა
ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა
გია რომელაშვილის ქუჩა
გია რომელაშვილის ქუჩა
დავით ნიშნიანიძის ქუჩა
NAPR

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

LEGAL ENTITY
OF PUBLIC LAW

GEORGIAN TECHNICAL
UNIVERSITY

01-09-40/394

„08" 06 2023

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისში არსებულ რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ჩვენი ყოფილი რექტორის და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გოჩა ჩოგოვაძის სახელი. ბატონი გოჩა ჩოგოვაძე გახლდათ პიროვნება, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურა სამშობლოს. ის იდგა ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანი, მრავალი სტრატეგიული ხასიათის წამოწყების სათავეებთან. მისი თაოსნობით 1971 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა, რითაც ჩვენს ქვეყანაში საფუძველი დაედო მართვის ავტომატური პრინციპების შემოტანას საწარმოების მართვაში. აქ მიმდინარეობდა, როგორც სამეცნიერო, ასევე პედაგოგიური საქმიანობა. კათედრა, დღეს უკვე დეპარტამენტი, სარგებლობდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს სტუდენტ ახალგაზრდებს შორის. იგი მართვის ავტომატიზებული სისტემების ქართული სკოლის ფუძემდებელია და მისი სამეცნიერო კვლევები ეხება ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებას, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი. თუ ვისარგებლებთ მისი ბიოგრაფიული ჩანაწერებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის 1981-1986 წწ. მუშაობდა საფრანგეთში, იუნესკოს სათავო ოფისში განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად, ხოლო 1988 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად. 1990 წელს მისი თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს პოლიტექნიკურ

ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი, მას გადაერქვა სახელი და გახდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი, ჰუმანიტარული სპეციალობების სამეცნიერო და სასწავლო ერთეულები. 1994-2004წწ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ის დაინიშნა საქართველოს პირველ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში, ხოლო შემდგომ 1994-2004 წლებში იგი მოღვაწეობდა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელად იუნესკოში, სადაც მან 2004 წლიდან გააგრძელა მუშაობა იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელის პოზიციაზე. საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისას მან დიდი სამუშაო გასწია და ყოველმხრივ ხელი შეუწყო საქართველოს კულტურისა და ტრადიციების განვრცობას და პროპაგანდას ეცხოელ პარტნიორებს შორის. ამ პერიოდში მისი თაოსნობით და ხელშეწყობით მოხდა მრავალი, როგორც მატერილური, ასევე არამატერიალური ქართული კულტურული ძეგლების შეტანა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. გოჩა ჩოგოვაძის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი რეკომენდაციით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი "ფრანკოფონიის" წევრი გახდა, ხოლო 2002 წელს საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. სადაც დღესაც მზადდება პროფესიული კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის მიმართულებით. ბატონი გოჩა ჩოგოვაძე არის 20 მონოგრაფიის, 6 გამოგონებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამასთან ერთად, ის იყო არაერთი ორგანიზაციის, ჯგუფისა და ასოციაციის წევრი, მათ შორის:

- ევროპის (ზალცბურგი) მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია, ნამდვილი წევრი;
- საერთაშორისო მოძრაობის "პროფესორები მშვიდობისათვის" მოსკოვის ბიურო, წევრი;
- საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების გაერთიანება (UATI), პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
- საინჟინრო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო საბჭო(ICET), მმართველობის წევრი;
- საქართველოს ინფორმატიკის ეროვნული ასოციაცია, საპატიო პრეზიდენტი;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, წევრ–კორესპონდენტი;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი;
- ჩეხეთის უნივერსიტეტი (CVUT, პრაღა), საპატიო დოქტორი.

ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს მიღებული აქვს ისეთი ჯილდოები, როგორებიცაა - გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი, საპატიო ნიშნის ორდენი და ღირსების ორდენი.

ყველა აქ ჩამოთვლილის საფუძველზე, ვთვლით, რომ ბატონი გოჩა ჩოგოვაძის მიერ გაღებული ღვაწლი ჩვენი ქვეყნის და მთელი სამეცნიოერო და საგანმანათლებლო სივრცის წინაშე განუზომელია და როგორც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე უპირობოდ იმსახურებს შესაბამის დაფასებას და გთხოვთ, განიხილოთ საკითხი, რომ თბილისის რომელიმე (თქვენთვის ხელსაყრელი) ქუჩა ღირსეულად ატარებდეს მის ღვაწლმოსილ სახელს.

პატივისცემით,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორი, აკადემიკოსი, დავით გურგენიძე

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოგმართავთ თხოვნით, რომ თბილისში არსებულ რომელიმე ქუჩას მიენიჭოს, ჩვენი ყოფილი რექტორის და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გოჩა ჩოგოვაძის სახელი. ბატონი გოჩა ჩოგოვაძე გახლდათ პიროვნება, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე უანგაროთ ემსახურა სამშობლოს. ის იდგა ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი, მრავალი სტრატეგიული ხასიათის წამოწყებების სათავეებთან. მისი თაოსნობით 1971 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრა, სადაც ჩვენს ქვეყანაში დასაწყისი მიეცა მართვის ავტომატური მართვის პრინციპების შემოტანას საწარმოების მართვაში. აქ მიმდინარეობდა, როგორც სამეცნიერო ასევე პედაგოგიური საქმიანობა. კათედრა, დღეს უკვე დეპარტამენტი სარგებლობდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს სტუდენტ ახალგაზრდებს შორის. იგი მართვის ავტომატიზებული სისტემების ქართული სკოლის ფუძემდებელია და მისი სამეცნიერო კვლევები ეხება ისეთ ფუნდამენტურ მიმართულებას, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერება, და ხელოვნური ინტელექტი. თუ ვისარგებლებთ მისი ბიოგრაფიული ჩანაწერებით, უნდა აღინიშნოს რომ ის 1981-1986 წწ. მუშაობდა საფრანგეთში, იუნესკოს სათავო ორგანიზაციაში განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად, ხოლო 1988 წელს არჩეული იქნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად. 1990 წელს მისი თაოსნიბით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს შეეცვალა სტატუსი, მას გადაერქვა სახელი და გახდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, რის საფუძველზეც უნივერსიტეტში შიქმნა ახალი, ჰუმანიტარული სპეციალობების სამეცნიერო და სასწავლო ერთეულები. 1994-2004წწ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე ის დაინიშნა საქართველოს პირველ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩათ საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში, ხოლო შემდგომ 1994-2004 იგი მოღვაწეობდა წწ. საქართველოს მუდმივ წარმომადგენელად იუნესკოში, სადაც მან 2004 წლიდან გააგრძელა მუშაობა იუნესკოს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელის პოზიციაზე. საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობისას მან დიდი სამუშაო გასწია და ყოველმხრივ ხელი შეუწყო საქართველოს კულტურისა და ტრადიციების განვრცობას და პროპაგანდას ეცხოელ პარტნიორებს შორის. ამ პერიოდში მისი თაოსნობით და ხელშეწყობით მოხდა მრავალი, როგორც მატერილური ასევე არამატერიალური ქართული კულტურული ძეგლების შეტანა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. გოჩა ჩოგოვაძის საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი რეკომენდაციით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი "ფრანკოფონიის" წევრი გახდა, ხოლო 2002 წელს

საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ-ქართულ ინსტიტუტს, რომალსაც ის ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. სადაც დღესაც მზადდება პროფესიული კადრები ინფორმატიკისა და ეკონომიკის მიმართულებით. ბატონი გოჩა ჩოგოვაძე არის 20 მონოგრაფიის, 6 გამოგონებისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამასთან ერთად, ის იყო არაერთი ორგანიზაციის, ჯგუფისა და ასოციაციის წევრი, მათ შორის:

- ევროპის (ზალცბურგი) მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია, ნამდვილი წევრი;
- საერთაშორისო მოძრაობის "პროფესორები მშვიდობისათვის" მოსკოვის ბიურო, წევრი;
- საერთაშორისო ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების გაერთიანება (UATI), პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
- საინჟინრო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო საბჭო(ICET), მმართველობის წევრი;
- საქართველოს ინფორმატიკის ეროვნული ასოციაცია, საპატიო პრეზიდენტი;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, წევრ–კორესპონდენტი;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი;
- ჩეხეთის უნივერსიტეტი (CVUT, პრაღა), საპატიო დოქტორი.

ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს მიღებული აქვს ისეთი ჯილდოები, როგორებიცაა - გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედალი, საპატიო ნიშნის ორდენი და ღირსების ორდენი.

ყველა აქ ჩამოთვლილის საფუძველზე, ვთვლით, რომ ბატონი გოჩა ჩოგოვაძის მიერ გაღებული ღვაწლი ჩვენი ქვეყნის და მთელი სამეცნიოერო და საგანმანათლებლო სივრცის წინაშე განუზომელია და როგორც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე უპირობოდ იმსახურებს შესაბამის დაფასებას. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგამონაკლისო წესით, გთხოვთ განიხილოთ საკითხი, რომ თბილისის რომელიმე (თქვენთვის ხელსაყრელი) ქუჩა ღირსეულად ატარებდეს მის ღვაწლმოსილ და ღირსეულ სახელს.

პატივისცემით

საქართველოს ტექნიკრი უნივერსიტეტის

რექტორი, აკადემიკოსი, დავით გურგენიძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/83

ქ. თბილისი 6 ივნისი 2023 წ.

თბილისში არსებული რომელიმე ქუჩისთვის აკადემიკოს გოჩა ჩოგოვაძის სახელის მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ეთხოვოს თბილისის საკრებულოს და მის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს თბილისში არსებულ რომელიმე ქუჩას მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ გოჩა ჩოგოვაძის სახელი
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე